პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 27 დეკემბერი № 297 (17939) ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციის დარბაზიდან

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII კონფერენცია

სურათზე: საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან) — თბილისის სატვირთო ხიდგურის მატარებლის შემდგენელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ფოცხვერაშვილი, მფრინავი დ. ლილაძე. ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ ოპერატორი დ. მსხალაია, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ დირექტორი ზ. ჩივაძე, დურგალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბუმბუროძე, მფრინავი ნ. მაცაბერიძე.

ბ. კიკვიძის და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უხიფათოდ, უავარიოდ

ცდაორი ათასზე მეტი კილომეტრი სიგრძისაა ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო გზები. ამ გზებზე ყოველდღიურად 884 ათასამდე სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა დაერბის. ასეთ დიდძალ ავტოტრანსპორტს ათასობით ტონა ტვირთი გადააქვს და ათიათასობით მგზავრი გადაყავს. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოს გზებზე მოძმე რესპუბლიკების ასობით მანქანა მოძრაობს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენი გზების 40 პროცენტი მთის რელიეფის პირობებში არის გაყვანილი, ნათელი გახდება, თუ რა სირთულესთან და სიფიზიწლესთან არის დაკავშირებული ავტოტრანსპორტის მოძრაობა და მისი მართვა, რეგულირება, ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ სულ უფრო მცირდებოდეს ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და ავარიები.

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საავტომობილო და საგზაო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მისი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამაა დასახული პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომელთა განხორციელება სულ უფრო წარმატებით მიმდინარეობს. ამაზე მეტყველებს საქართველოს ბარში თუ მთიანეთში გაყვანილი საავტომობილო გზები, მთელი საქართველოს ტერიტორიის გადამკვეთი მაგისტრალები.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პირობებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა გზებზე მოძრაობის უსაფრთხოებას. ეს მუშაობა მიმდინარეობს იმ თვალსაზრისით, რომ ნაკლები იყოს ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი. საყურადღებოა, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთისათვის პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოები, კერძოდ, სახელმწიფო ავტოინსპექცია ბევრ პროფილაქტიკურ ღონისძიებას ახორციელებენ, ეწყობა ერთთვიურები, ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე მუდამ მორიგეობენ მილიციის მუშაკები, სახალხო რაზმელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ქუჩებში შედარებით მოწესრიგდა შუქნიშნები, მოძრაობის მანიშნებლები და ა. შ. ამის შედეგად წელს სხვა წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ამაზე ნათლად იყო ლაპარაკი ამას წინათ საგზაო უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე. მაგრამ ისიც ითქვა, რომ ავარიები, წესრიგის დარღვევა მაინც არის და, ცხადია, მხვერპლი კვლავ დიდია. მაგალითად, წელს 11 თვეში ავტოავარიების შედეგად 694 კაცის დაღუპვა, 3263-ზე მეტის დაშავება ერთობ სამწუხარო სტატისტიკური მონაცემებია.

რა არის ამის მიზეზი?

ცხადია, მოძრაობის წესების მოთხოვნათა შეუსრულებლობა და უხეში დარღვევა, გადაჭარბებული სიჩქარე, სიმთვრალე, გზაჯვარედინებზე და მოსახვევებში დაუკვირვებლობა და აჩქარება, უადგილო და დაუფიქრებელი გადასწრება, სამუშაოდ გაუმართავი და უწესივრო მანქანებით გასვლა და ა. შ. ამიტომ გასაგებია, რომ გზებზე წესრიგი და დისციპლინა, უწინარეს ყოვლისა, მძღოლთა მოქმედებაზე, მათ მიერ საგზაო წესების დაცვაზე, გამართული მანქანებით მუშაობაზეა დამოკიდებული. მარტო ის ფაქტი, რომ წელს 11 თვეში ჩვენი რესპუბლიკის გზებზე 2596 ავტოსაგზაო შემთხვევა იყო, ბევრ რამეზე მეტყველებს.

გზებსა და ტრანსპორტზე წესრიგის დამყარება ზოგ-ზოგებს მარტო სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა მოვალეობად მიაჩნიათ. ცხადია, ეს ნამდვილი შეცდომა და საერთო საქმისადმი ზერელე, გულგრილი დამოკიდებულების გამოხატულება გახლავთ. საგზაო წესების მტკიცედ დაცვა თითოეული მძღოლის, თითოეული მოქალაქის საარსებო მნიშვნელობის მოვალეობაა. მათი ერთობლივი მოქმედებით უნდა მივაღწიოთ ავტოავარიების აღკვეთას, მოძრაობის წესების ზუსტ დაცვას, უსიამოვნო შემთხვევების თავიდან აცილებას, უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ და სხვის სიცოცხლეს.

ჩვენში ახლა ბევრია ისეთი ავტოსატრანსპორტო საწარმო, სადაც კარგად მოფიქრებული პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ძალზე მცირეა ავტოსაგზაო შემთხვევების ფაქტები. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ თბილისის მე-5 სატვირთო, ქუთაისის მე-2 სატვირთო, მახარაძის სამგზავრო, საგარეჯოს ავტოსატრანსპორტო, თელავის, ლანჩხუთის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებს. ამ საწარმოებში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლების გზით აღკვეთეს ავტოავარიები, მიიღწიეს უწყნო მუშაობას.

ყოველივე ამას ისიც უწყობს ხელს, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი დადგენილებით დანერგილია მოწინავეთა წახალისების მეთოდები. მაგალითად, მოწინავე მძღოლები, ისინი, ვინც წლის განმავლობაში უავარიოდ მუშაობს, ჯილდოვდებიან სამკერდე ნიშნით „უავარიო მუშაობისათვის“, აგრეთვე სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით. ამის წყალობითაც არის, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ბევრია მოწინავე მძღოლი, თავისი საქმის მოყვარული და ენთუზიასტი. მაგრამ ყველგან ყველაფერი რიგზე როდია. სამწუხაროდ, ზოგიერთ რეგიონში იმატა ავტოავარიებმა. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, გურჯაანში, მარნეულში, ბოლნისში, ცხაკაიაში, მესტიაში. ამ მხრივ არც თბილისშია ყველაფერი რიგზე. ამ რეგიონებში ხშირია ავტოსაგზაო წესების უხეში დარღვევის ფაქტები, არცთუ ისე იშვიათად ავტოინსპექციის მუშაკებს უხდებათ მთვრალი მძღოლების, მეტწილად ახალგაზრდა ავტომოყვარულების გადმოსმა მანქანიდან. ავტოსაწარმოთა ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მუდმივი და მკაცრი კონტროლი უნდა დაიწესონ მძღოლთა მუშაობისა და მოქმედებისადმი, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განუხრელი შესრულებისადმი.

საქართველოში ახლა 264 ათასზე მეტ მოქალაქეს აქვს საკუთარი ავტომანქანა. ავტომანქანები ჩვენში მახობრივი სარგებლობის საგანი გახდა. ყოველწლიურად ათასობით ახალი ავტომოყვარული უჯდება საჭეს. ცხადია, ისინი ზედმიწევნით უნდა იყვნენ მომზადებული მანქანების უავარიო ტარებისათვის. ამიტომ უნდა ავამაღლოთ სწავლების ხარისხი ავტოსკოლებსა და კურსებზე, გავაძლიეროთ კონტროლი ინსტრუქტორთა შემადგენლობისადმი, გავაუმჯობესოთ სწავლების ტექნიკური შესაძლებლობანი.

ავტოტრანსპორტის ეხოდენ ინტენსიური განვითარების პერიოდში აუცილებელია „საგზაო წესები“ ყველამ იცოდეს. ურიგო როდი იქნებოდა, ამ წესების სწავლებას დავიწყებდეთ დაბალი კლასებიდან. ეს იმიტომ, რომ მოზარდ თაობას გამოვუმუშაოთ ჭეშმარიტი წესიერი მოძრაობის ჩვევები.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა რიგებში ყოფნა ადვილი სამსახური როდია. ეს მოითხოვს გამძლეობას, ვაჟკაცობას, საფუძვლიან და მრავალმხრივ ცოდნას, ცვლადად ვითარებაში სწრაფი ორიენტირების უნარს. ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო-სატრანსპორტო სამსახურის ბევრი ინსპექტორი სანიმუშოდ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მაგრამ კარგების გვერდით არიან უხეშებიც, ისეთებიც, რომლებიც მძღოლებსა და მოქალაქეებს უსაფუძვლოდ ედავებიან, რაც უსიამოვნო კამათს, უწესრიგობას იწვევს ხოლმე, ამიტომ საჭიროა ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ იბრძოდნენ ასეთი გამოვლინებების აღსაკვეთად.

ამოცანა ის არის, რომ მტკიცედ დავიცვათ საგზაო მოძრაობის წესები, აღვკვეთოთ მძღოლთა უდისციპლინობა, ხულიგნობა, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ გზებზე სანიმუშო წესრიგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შევინარჩუნოთ ახობით ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, დავზოგოთ სახელმწიფო მანეთი, მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს.

მიფრინავს „პროგნოზ-8“

1980 წლის 2 წუთზე საბჭოთა

„პროგნოზ-8“ პუსკულარული მის ნაკადების, სმოსური სივრ მზის აქტიური ტოსფეროზე.

დეკემბერს მოსკოვის დროით 7 საათსა და 02 ...ში გაუშვეს „პროგნოზ-8“ ავტომატური სა...

...გურის გაშვების მიზანია მოეწყოს მზის კორ... ელექტრომაგნიტური გამოსხივების, მზის პლაზ... ...ტური ველების კვლევა დედამიწისირგვლივ კო... ...რათა განისაზღვროს, თუ რა გავლენას ახდენს ...ლანეტათშორის გარემოსა და დედამიწის მაგნი...

ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ

ᲥᲐᲮᲔᲚᲘ გლეხკაცი პურობაზე ღვინის სმას რომ დაიწყებდა, პირველ სადღეგრძელოს ასე იტყოდა: გაუმარჯოსო ცის ნამს, ხარის ქედსა და კაცის მარჯვენასო. როგორც ვხედავთ, სადღეგრძელოს ცის ნამით იწყებდა. ეს იმიტომ, რომ მარჩენალ მიწას თვალსაჩინოთ უფრთხილდებოდა. ასეა ახლაც, ზამთარ-ზაფხულს, გაზაფხულ-შემოდგომაზე. ეს იმიტომ, რომ კაცის მარჯვენის ნაამაგარს და ხარის ნახნავს სიუხვე მოეტანა. გუთანს ჩაჭიდებული კაცი ყოველთვის ცას ვედრებით შეჰყურებდა და მიწისთვის ცის ნამს სთხოვდა, თან შიშს ვერ იშორებდა, ზეციდან წვიმის ნაცვლად რაიმე დელგმა არ წამოსულიყო. ამიტომ ხშირად ისევ მიწაზე ეძებდა გამოსავალს, შიშის თვალით უყურებდა თავაწყვეტილ მიწიერებს და მათს დამორჩილებაზე, სარწყავად გამოყენებაზე ოცნებობდა.

მერე კი, როცა თავისუფალი შრომის ადამიანებმა გაიმარჯვეს, სახელმწიფომ დამორჩილებული მიწიერები ჩააბარა გლეხკაცს. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის დაწყებისას უზომოდ გახარებული კაცები გლეხის გულიდან შადრევანივით ამოხეთქა სიმღერამ — „შენ, ალაზანო სად მიხვალ. შენ ჭკვაზე აღარ გატარებ, პანკისის თავზე ჩაგკეტავ, მატანზე ჩამოგატარებ“.

წლევანდელმა გვალვიანმა შემოდგომამ ნიადაგი გამოფიტა, სიმშრალემ მორწყლების გამრავლების საუკეთესო პირობები შეუქმნა. მორწყლები კი, როგორც ვიცით, გვალვასთან ერთად, ნათესებს დაღუპავს უქმიდან.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამჯერად ერთი რაიონის, კერძოდ ახმეტის რაიონის მაგალითზე მოგვეთხრო მკითხველისათის იმის შესახებ, თუ არსებულ პირობებში რა ღონისძიებები ხორციელდება ტენის დაგროვებისათვის, როგორ მიმდინარეობს ზამთრის სამარაგო რწყვა, რა მეთოდებით იბრძვიან მორწყლების წინააღმდეგ. ამისათვის მივმართეთ ახმეტის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ა. ჭუნიაშვილს. აი რა თქვა მან:

— თვითკრიტიკულად მინდა ვთქვა, რომ საამისოდ ჩვენ სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ არსებული შესაძლებლობანი, ვერ დავიწყეთ დროულად სამარაგო რწყვა, მაგრამ არსებობს ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები: ჯერ ერთი, სამემოდგომო რწყვა გეგმით გათვალისწინებული არა გვქონდა, მაგრამ ასეთ ამინდებში რად გვინდა გეგმა, როცა თვითონ ვხედავთ, რომ რწყვა საჭიროა.

რამდენჯერმე მივმართეთ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს (უფროსი — მ. არინდაული), მაგ-ჭუნიაშვილი, რწყვა ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ამ საქმეში დაწინაურდნენ ახმეტის, ქისტაურის, ზემო ხოდაშნის და ოქროს მეკვნახეობის, ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები (დირექტორები — ს. შაშიაშვილი, ე. ყიზილაშვილი, თ. ოტიაშვილი, გ. ირემაძე, ვ. თორღვაიძე).

მორწყლებთან ბრძოლის პირველ პირობად საშემოდგომო რწყვას ვთვლით. მორწყლების მოსასპობად კარგი საშუალებაა აგრეთვე ქიმიური და ბიოლოგიური ბრძოლაც. ქიმიური ღონისძიებანი 3.500 ჰექტარიდან 1.758 ჰექტარზე განვახორციელეთ. ბიოლოგიური ბრძოლის შესახებ კი მინდა გულისტკივილით ვთქვა, რომ თბილისში, ვაშლაჯვარში არსებული ერთი პატარა ქარხანა ვერ ამარაგებს საზოგადოებრივ მეურნეობებს საჭირო მასალებით.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲛᲒᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ შემოდგომა იყო წლიულს, ზამთარი კი ჯერჯერობით უჩვეულოდ მზიანი. ასეთი ამინდი შეიძლება ხელსაყრელი იყოს მშენებლებისათვის, მაგრამ სოფლის მეურნეებისათვის წამგებიანია. ნერვიულობენ მემინდვრეები და მეკვნახეები. ზოგან მიწა ისე გამოიფიტა, რომ ჯეკილს სიყვითლე შეეპარა და ხმება.

— ეს რა ამინდებია, რასა ჰგავს, — წყენით ამბობენ მევენახეები. ზამთარი ზამთარს უნდა ჰგავდეს და ზაფხული ზაფხულსაო. და მართლაც, ახლა თუ არ აიღო ვაზმა ტენი, გაზაფხულის შხაპუნა წვიმა ბევრს არაფერს არგებს. ჭკვიანი ის არის, ვინც ვენახს რთველის დამთავრებისთანვე მორწყავს; ერთხელ კიდევ თუ ადრე გაზაფხულზე მოირწყო, მერე შეიძლება ამინდს დაეფიდოს კაცი.

ასე მოიქცნენ სიღნაღის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა გამოცდილი მეურნეები. ტენის დასაგროვებლად რწყავა გვალვამდე კარგა ხნით ადრე. დაიწყეს ბოდბის, ბოდბისხევის, ტიბაანის, ძველი ანაგის, ქვემო მაჩხაანისა და ვაქირის კოლმეურნეობებმა. მათ უკვე 300 ჰექტარზე მეტი ნაოფის მომცემი და ახალშენი ვენახები მორწყეს.

...მაგრამ, ახლა მარტო ვენახზე როდია ლაპარაკი. ტენი სჭირდება ყველაფერს — მინდორს, ჯეკილს, ხეხილს. სწორედ უნალექობა და გვალვა გახდა მიზეზი მცენარეთა ათასგვარი დაავადებისა, მავნე მწერების თუ მღრღნელების გამრავლებისა. ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებებთან ერთად რწყვა არის მათი მოსპობის ერთ-ერთი საშუალება.

ამიტომ აქ დასახელებულ და სხვა კოლმეურნეობებს, რომელთაც ადრინდელი რწყვის გეგმა შეასრულეს, 40-50 ჰექტარზე მორწყეს ვენახი თუ მინდორი, ნუ ჰგონიათ, რომ ამით საქმეს მთლად ეშველა. რწყვა უნდა მიმდინარეობდეს ყველგან. რაიონში უნდა მოირწყას არა 200-300 ჰექტარი, არამედ მთლიანად 13.400 ჰექტარი, რომელიც სარწყავ ზონაშია. ყოველად მიუტევებელია, რომ 13 სტაციონარული წყალსატუმბიდან და ასზე მეტი სხვადასხვა ტიპის ტუმბოდან, 60 ფრეგატიდან თითქმის ნახევარი არ მუშაობს.

ეს საკითხი პარტიის რაიკომის მწვავე მსჯელობის საგანი გახდა. საქმე განიხილეს მეურნეობათა ხელმძღვანელების, სპეციალისტების, სარწყავი სასისტემო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით. თურმე ზოგიერთ კოლმეურნეობაში რწყავა იმის გამო შეიუწყვეტიათ, რომ ალაზნის მაგისტრალურ არხში წყალი არ მოდიოდა. მიზეზი? მიზეზი ის იყო, რომ არხის გაწმენდა თვეზე მეტ ხანს გაჭიანურდა. არხში წყალი მაშინ გაუშვეს, როცა ალაზნის სასისტემო სამმართველოს უფროსი ვ. გოგინაშვილი შეახურეს, მაგრამ ხელსაყრელი დრო ხომ დაიკარგა?

მოვრწყათ ვენახები, მინდვრები, ხეხილის ბაღები დღისით და ღამით! რაიონში ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ამან თავისი შედეგი გამოიღო. უკანასკნელი ქვირის განმავლობაში შეკეთდა და ამოქმედდა ოცზე მეტი დასაწვიმებელი ფრეგატი, რამდენიმე მოძრავი თუ უძრავი წყალსატუმბავი მოწყობილობა. მარტო ტიბაანის კოლმეურნეობაში მწყობრში ჩადგა 3 ისეთი მძლავრი წყალსატუმბი, რომელიც მოკლე დროში 400 ჰექტარ ვენახს მორწყავს.

საწყენია, რომ ყველგან მაინც ერთნაირი მონდომებით, ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საქმეს, ისეთ სარიოზულ საქმეს, რომელზეც დამოკიდებულია მოსავალი წლის მოსავალი. არ ირწყვება ივრის მარჯვენა მხარეს მდებარე მაღაროს კოლმეურნეობის 300 ჰექტარზე მეტი სარწყავი ფართობი.

— საგარეჯოს მთავარი მაგისტრალური არხიდან ჩვენკენ წყალი არ მოდიოს, — თავს იმართლებენ კოლმეურნეობის მესვეურები, და ამას ობიექტურ მიზეზად თვლიან.

მიზეზის და საბაბის ძებნა თავის გასამართლებლად არ გამოდგება. თავი კი არ უნდა ვიმართლოთ, თავი უნდა შევიწუხოთ, მივიდეთ ადგილზე, სადაც საქმე ფერხდება, გავარკვიოთ მიზეზი, სანამ სასურველ შედეგს არ მივაღწევთ.

ᲕᲚ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲨᲔᲜ, ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲝ, ᲡᲐᲓ ᲛᲘᲮᲕᲐᲚ!

...რამ ალაზნის არხში წყლის გაშვება 11 დეკემბრამდე მაინც არ მოხერხდა. ამასთან, ჩვენი ნაკვეთების უმეტესი ნაწილი მოქცეულია მოყინვის ზონაში და გვეშინოდა ყინვას არ მოესწრო. თუმცა თავს ვერ ვიმართლებთ, ისეთ პირობებშიც კი შეგვეძლო დროულად მოგვერწყა 662 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 128 ჰექტარი საშემოდგომო ნათესები, 3.213 ჰექტარი ვენახი. რწყვის დაწყება შეაფერხა იმანაც, რომ დიზელის საწვავის უქონლობის გამო ვერ დავამუშავეთ ნაკვეთები. ახლაც, როცა რწყვა მიმდინარეობს, ამავე მიზეზით ვერ ვამუშავებთ 22 დასაწვიმებელ აგრეგატს. 15 დეკემბრისათვის რაიონს მიღებული ჰქონდა მხოლოდ 61 ტონა დიზელის საწვავი, ჩვენ კი, დღეში, სულ ცოტა 15-18 ტონა გვჭირდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევიმენით რწყვის და მღრღნელებთან ბრძოლის კომისიები, რომელთა შემადგენლობაშიც ძირითადად გამოცდილი სპეციალისტები არიან.

როგორც მოგახსენეთ, ამბობ გიური ბრძოლის შესახებ კი მინდა გულისტკივილით ვთქვა, რომ თბილისში, ვაშლაჯვარში არსებული ერთი პატარა ქარხანა ვერ ამარაგებს საზოგადოებრივ მეურნეობებს საჭირო მასალებით.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲛᲒᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ შემოდგომა იყო წლიულს, ზამთარი კი ჯერჯერობით უჩვეულოდ მზიანი. ასეთი ამინდი შეიძლება ხელსაყრელი იყოს მშენებლებისათვის, მაგრამ სოფლის მეურნეებისათვის წამგებიანია. ნერვიულობენ მემინდვრეები და მეკვნახეები. ზოგან მიწა ისე გამოიფიტა, რომ ჯეკილს სიყვითლე შეეპარა და ხმება.

— ეს რა ამინდებია, რასა ჰგავს, — წყენით ამბობენ მევენახეები. ზამთარი ზამთარს უნდა ...

რედაქციისაგან: ერთ საკითხზე ამ ორი წერილიდან ვარწმუნდებით, რომ ახმეტისა და სიღნაღის რაიონებში რწყვისათვის ხელსაყრელი დრო დაიკარგა. მდინარე ალაზნისწყალი უქმად მიედინებოდა იმის გამო, რომ მაგისტრალური არხი დროზე ვერ მოაწესრიგეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ რაიონების ხელმძღვანელები სათანადო ღონისძიებებს განახორციელებენ, ხოლო დამნაშავეებს მკაცრად დასჯიან.

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

სურათზე: საუბრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სურათზე: საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან) — თბილისის სატვირთო ხიდგურის მატარებლის შემდგენელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ფოცხვერაშვილი, მფრინავი დ. ლილაძე. ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ ოპერატორი დ. მსხალაია, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ დირექტორი ზ. ჩივაძე, დურგალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბუმბუროძე, მფრინავი ნ. მაცაბერიძე.

ბ. კიკვიძის და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲒᲐᲠᲓᲐᲒᲜᲔᲚ ᲛᲔᲒᲝᲡᲢᲔᲗᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚ გაქანებას მიაღწია ამ ბოლო წლების მანძილზე ბოსტნეულის დამზადებამ გარდაბნის რაიონში. აქაური მებოსტნეები წლეულს პირველად გავიდნენ 80 ათასტონიან მიჯნაზე. მთლიანად რესპუბლიკაში დამზადებული 323 ათასი ტონიდან 80.365 ტონა, ესე იგი თითქმის მეოთხედი გარდაბნის რაიონზე მოდის.

საგულისხმოა ისიც, რომ რაიონის რუისბოლოს, გამარჯვების, გარდაბნის საბჭოთა მეურნეობებმა ცალ-ცალკე სახელმწიფოს უფრო მეტი ბოსტნეული მიჰყიდეს, ვიდრე თელავის, ბოლნისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, თერჯოლის რაიონებმა ერთად.

ბოსტნეულის წარმოების ასეთ დიდ მასშტაბებს გარდაბანში საფუძვლად დაედო მექანიზაციის, ახალი ჯიშების, რწყვის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა, სასუქების, შხამქიმიკატების ეფექტიანი გამოყენება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიწის რაციონალური გამოყენება. აქ წლეულს 2000 ჰექტარზე ბოსტნეულის ორი მოსავალი მიიღეს.

სწორედ ამის წყალობით არის, რომ რაიონმა გადამეტებით შეასრულა ბოსტნეულის დამზადების არა მარტო წლევანდელი, არამედ, მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 347.130 ტონა ბოსტნეული ნაცვლად საგეგმო 334.180 ტონისა.

— მებოსტნეებთან ერთად სკკპ XXVI ყრილობას სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან რაიონის მემინდვრეები და მეცხოველეებიც, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ბოკერიამ, — ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 66.205 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 67.582 ტონა რძე, ხუთწლედის გეგმის გადამეტებით დამზადებულია 15.200 ტონა მარცვლეული, 19.915 ათასი ცალი კვერცხი, 1.670 ცენტნერი მატყლი, 960 ტონა კარტოფილი და სხვ. ახალ წლამდე შესრულდება ხორცის დამზადების გეგმაც.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახალხო დეპუტატთა მე-17 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესიამ განიხილა, თუ როგორ სრულდება განაწესები, რომლებიც ამ საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს მისცეს ამომრჩეველებმა არჩევნებისწინა კრებებზე.

სესიამ განიხილა საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. მარუაშვილმა.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია მ. მღებრიშვილი.

სხვა საკითხზე გადასვლასთან დაკავშირებით სესიამ დეპუტატი ნ. მგალობლიშვილი გაათავისუფლა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი საარქიტექტორო-საგეგმარებელი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან. ამ სამმართველოს უფროსად და ქალაქის მთავარ არქიტექტორად სესიამ დაამტკიცა შ. ყავლაშვილი.

სესიამ დეპუტატი ნ. ხომერიკი გაათავისუფლა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრის მოვალეობისაგან სხვა საკითხზე გადასვლასთან დაკავშირებით. საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, დეპუტატი გ. კვანტალიანი.

სესიამ დეპუტატი რ. დონაძე გაათავისუფლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტი ...

პარტიულ კონფერენციებზე

ტრიბუნაზეა დელეგატი, ცხინვალის მომმინანქრებელი სადენის ქარხნის მომმინანქრებელთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფ. გასიევი. იგი ლაპარაკობს იმ დიდ შრომითს ენთუზიაზმზე, რომელიც კოლექტივში ამეამად სუფევს და რომელიც სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადებით არის გამოწვეული.

ინჟინრების, ბრიგადირების, ოსტატების, ყველა მუშის მეგობრული, შეხმატკბილებული შრომით, ამბობს იგი, ქარხანა მეათე ხუთწლეულის ყოველ წელს წარმატებით ასრულებდა როგორც მთლიანი პროდუქციის წარმოების, ისე მისი რეალიზაციის გეგმებს. წარმოების მოცულობა ყოველწლიურად 3 პროცენტით იზრდებოდა, რაც სჭარბობს ჩვენი სისტემის სხვა საწარმოთა მაჩვენებელს. მნიშვნელოვნად ამაღლდა მომმინანქრებელი სადენის ხარისხი, გაუმჯობესდა საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვისას ჩვენმა კოლექტივმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა პროექტის იმ ნაწილისადმი, სადაც ელექტროტექნიკური წარმოების განვითარებაზე, კერძოდ, სითბომედეგი მომმინანქრებული სადენის წარმოების გაფართოებაზეა ლაპარაკი. წლეულს ჩვენ შევიდექით „პტვ“ მარკის თბომედეგი სადენის გამოშვების ათვისებას.

ახალ საიზოლაციო მასალაზე გადასვლა შესაძლებლობას მოგვცემს, ჯერ ერთი, თითქმის ყველა

ახალი მიჯნების დასალაშქრად

მსჯელობენ სამხრეთ-ოსეთის კომუნისტები

• •

პარამეტრის მიხედვით მკვეთრად შევამცეროთ წონა, მეორეც, არსებითად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ტექნიკური დონე. ვფიქრობთ, მომავალი წლის ბოლოსათვის 35-40 პროცენტამდე გავზარდოთ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში.

კონფერენციაზე ფ. გასიევის გამოსვლა გამონაკლისი არ ყოფილა. ასეთივე დიდი საყრილობო შრომითი სამზადისია ამჟამად იმ საწარმოებსა და მეურნეობებში, რომლებსაც ინიციატივიანი ადამიანები უდგანან სათავეში. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, თანამიმდევრულად განამტკიცებს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა რგოლს გამოცდილი, პოლიტიკურად მომწიფებული, საქმის მცოდნე მუშაკებით, რომლებსაც უნარი შეწევთ შეაკავშირონ ადამიანები, უზრუნველყონ მათი ერთსულოვანი და შეთანხმებული მუშაობა — ლაპარაკობდნენ დელეგატები.

— თამამად შეიძლება ითქვას, აღნიშნა კონფერენციაზე მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა, რომ ამჟამად სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა რგოლში ჩვენ გვყავს მეტად პერსპექტიული კადრები, რომლებსაც აქვთ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კარგად ფლობენ მართვის თანამედროვე მეთოდებს.

დაცულია გამოცდილი, დიდსკოლაგამოვლილი მუშაკებისა და ახალგაზრდა ენერგიული კადრების თანამშრომლობის პრინციპი.

ამჟამად პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყველა მდივანს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებსა და მათს მოადგილეებს უმაღლესი სპეციალური და პარტიულ-პოლიტიკური განათლება აქვთ.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის თითქმის ყველა ხელმძღვანელის, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების 80 პროცენტზე მეტს მიღებული აქვს სპეციალური განათლება.

საანგარიშო პერიოდში კადრების შერჩევისას, საოლქო კომიტეტმა პრაქტიკაში დანერგა შრომითი კოლექტივების რეკომენდაციით დაწინაურება, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. ასე მაგალითად, კოლექტივების აზრის გათვალისწინებით დაწინაურდა კომუნისტი ბ. ტეხოვი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, ახალგაზრდა კომუნისტი ა. ბესთაევი — ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და სხვ. ისინი ამჟამლებენ გაწეულ მაღალ ნდობას.

დელეგატებმა — მაღაროელმა პ. ნინიევმა, მწერალმა ნ. გაგლოევმა, პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თინიკაშვილმა და სხვებმა კმაყოფილების გრძნობით ილაპარაკეს პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ნაყოფიერ პარტიულ-ორგანიზატორულ მუშაობაზე, რამაც განაპირობა წარმატებები სახალხო მეურნეობის ფრონტზე, მეათე ხუთწლედში.

სამხრეთ ოსეთის კომონმიკა, ისევე, როგორც მთლიანად საბჭოთა საქართველოსი, ახალ დონეზე ავიდა, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის მეტი წილი დარგების შემდგომი დინამიკური განვითარება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით წარმოებულია 135 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების მოლიანი სარეწველო პროდუქცია. ზრდამ 57 პროცენტი შეადგინა. მეათე ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით ათვისებული კაპიტალდაბანდებანი 90 მილიონ მანეთს გადააჭარბებს, ანუ წინა ხუთწლედის მოცულობასთან შედარებით თითქმის 70 პროცენტით გაიზრდება. ძირითადი ფონდების ღირებულება 40 მილიონი მანეთით გადიდდა და 230 მილიონი მანეთი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში პარტიის საოლქო კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას. ამჟამად ოლქის სამრეწველო საწარმოები უმაღლესი კატეგორიის ხარისხით 15-ჯერ მეტ პროდუქციას უშვებენ, ვიდრე 1975 წელს.

პარტიულმა კონფერენციამ ამოცანად დაისახა უახლოეს წლებში საპატიო ხუთკუთხანშნიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა 4,3 მილიონი მანეთიდან 40-42 მილიონ მანეთამდე გაიზარდოს.

კონფერენციაზე განსაკუთრებული კმაყოფილებით აღინიშნა საბინაო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებები. მეათე ხუთწლედში ათვისებულია ორჯერ მეტი თანხა. საეკსპლოატაციოდ გადაეცა 90 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

სკკპ აგრარული პოლიტიკის განსახორციელებლად ოლქის პარტიული კომიტეტები მიზნისწრაფულად, გეგმაზომიერად, ინტენსიურად მუშაობდნენ. დასახული ამოცანების შესასრულებლად ამ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. ამას მოწმობს სოფლად კაპიტალურ დაბანდებათა მკვეთრი ზრდა მეათე ხუთწლედში. ამ დაბანდებამ 26 მილიონი მანეთი შეადგინა, ფონდაღჭურვილობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით გადიდდა 55 პროცენტით, მკვეთრად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციისა და მიწების მელიორაციის მასშტაბი.

მოსავლიანობის, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის ტემპის გადიდებამ, მთლიანად სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გაფართოებამ შესაძლებელი გახადა 44 პროცენტით, ანუ 20,5 მილიონი მანეთით გადიდებულიყო პროდუქციის მთლიანი გამოსავლიანობა, ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების მოცულობა. მაგალითად, მარცვლეულის დამზადება გადიდდა 30 პროცენტით, ბოსტნეულისა — 47, შაქრის ჭარხლისა — 12, ხილისა, პირად დამხმარე მეურნეობათა ჩათვლით, — 72, ხორცისა — 26, რძისა — 35 მატულისა — 10 პროცენტით და კვერცხისა — ექვსჯერ.

კონფერენციაზე განსაკუთრებული კმაყოფილებით აღინიშნა მეცხვარეთა თავდადებული შრომა. მათ სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 1.945 ტონის ნაცვლად 2.075 ტონა კარგი ხარისხის მატყლი მიჰყიდეს.

დელეგატებმა ყურადღება გაამახვილეს სამთო მეცხოველეობის შემდგომი ამაღლების აუცილებლობაზე, მთიანი ზონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვნად შეაჩერებს მთის მცხოვრებთა მიგრაციას.

კონფერენციაზე გამოითქვა რწმენა, რომ საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის განუხრელი ზრუნვითა და დახმარებით სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს კომპარტიის აქტიური მებრძოლი რაზმი ახალი სიმაღლეების დასაპყრობად გაუძღვება ხალხს.

დელეგატებმა მაღალი აქტიურობის ვითარებაში განიხილეს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თ. კაბულოვის მოხსენება — პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

მწერალი დიმიტრი გიორგის ძე **ბენაშვილი** — ხანგრძლივი, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით.

მწერალი ამირან ალექსანდრეს ძე **აბზილავა** — ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

მწერალი ედიეა ილიას ასული **კახიძე** — ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

26 დეკემბერი
საერთაშორისო ცხოვრება
ლენინგრადის ჟურნალზე

საკლესისა და ახალი ამბების საგენეტიკოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

სსრ კავშირი — ინდოეთი:

თანამშრომლობის ახალი ჰორიზონტები

დელი. „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ახალი ჰორიზონტები“, — ასეთი დევიზით გაიმართა აქ ინდოეთის საზოგადოებრივობის მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომდინარე წლის დეკემბერში გამართული ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებს. მიტინგში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო ინდოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, ქვეყნის პარლამენტის წევრები წამყვანი პოლიტიკური პარტიებისაგან.

ინდოეთში პრეზიდენტ ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელმა ვიზიტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში, განაცხადა მიტინგზე პარლამენტის წევრმა, მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) გენერალურმა მდივანმა ნ. სატიანარაიანა რამ. საბჭოთა კავშირი ყოველთვის ემხრობოდა ინდოეთს და გადამწყვეტ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდა მას ძნელბედობის ჟამს. დღეს დარწმუნებით შეიძლება თქვას, რომ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება არა მარტო ჩვენი სახელმწიფოების ხალხთა ინტერესებისათვის, არამედ აზიის კონტინენტის და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, თქვა ნ. ს. რამ. ისინი, ვინც ცდილობს ავნოს ამ გულწრფელ, გულთბილ მეგობრულ კავშირურთიერთობას, ინდოეთის მტრები არიან.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს, მის მოლაპარაკებას, ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან ინდირა განდისთან, რის შედეგადაც დაიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ორმხრივი შეთანხმებანი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლანდელი ტენდენციის თვალსაზრისით, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათი დამქაშები ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, თქვა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს მდივანმა ნ. კ. კრიშნანმა. **უმაღლესი დონის შეხვედრის დროს, ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. განდის მიერ ხელმოწერილ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივ დეკლარაციაში, ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ინდოეთი და სსრ კავშირი კვლავაც მტკიცედ იბრძოლებენ გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებისათვის, იმპერიალიზმის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ააღორძინოს „ცივი ომი“. შექმნას საერთაშორისო დაძაბულობის ახალი კერები,** ახლა, როცა შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების, პეკინის ჰეგემონისტური კურსისა და პაკისტანის ხელისუფალთა გაძლიერებული სამამრეგადების შედეგად ინდოეთი ფაქტობრივად მტრული ძალებით ალყაშემორტყმული აღმოჩნდა, განსაკუთრებულ აზრს იძენს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ საბჭოთა კავშირს სურს მეგობრული მშვიდობისმოყვარე ინდოეთი ინილოს ძლიერ სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევს წარმატებით დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, განამტკიცოს მშვიდობის საქმე აზიაში.

ფოტოალბომი: ვანუატუ



1980 წლის 30 ივლისს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოცხადდა — ვანუატუს რესპუბლიკა, რომელიც მკვიდრთა ენაზე ნიშნავს „ქვეყანას, რომელიც არის და იქნება დამოუკიდებელი“. რესპუბლიკის დედაქალაქ ვილაში დაუშვეს ორი კოლონიზატორული ქვეყანა— დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დროშები.

ქვეყანას უჭირავს 80-კუნძულიანი არქიპელაგი, რომელთაგან 66 დასახლებულია. ვანუატუს საერთო ფართობი შეადგენს 14,8 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა 110 ათასს. მათი 98 პროცენტი მელანეზიელია.

სურათებზე: (ზემოთ) ქვეყნის სასოფლო რაიონებში; სახელმწიფოს ახალი დედაქალაქის ვილის ბაზარზე.

საკლესისა ფოტოკორესპონდენტი.

სასამართლო პროცესი კეკინში

პეკინი. პეკინის გაზეთები აქვეყნებენ სინხუას საagენტოს მოკლე ცნობას იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული სასამართლოს პირველ პალატაში დაიწყო მხარეების კამათი ძიან ცინის საქმის გამო. სააგენტო მხოლოდ იმას იუწყება, რომ სასამართლოზე გამოვიდნენ პროკურორი და თვით მაოს ქვრივი.

ერთ-ერთ ხელმოწერილ სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოში“, წამოყენებულია მოთხოვნა „ყველაზე მძიმე განაჩენი“ გამოუტანონ ძიან ცინს.

„ოპერატორს“ სიკვდილი მიუსაჯეს

ბუენოს აიერეს. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სასამართლომ დაუფარავად მორალურ სიკვდილი მიუსაჯა ოპერატორ ჟან-ბედელ ბოკასა. [illegible] **ბოკასს. მას წაუყენეს 18 ბრალდება სხვადასხვა დანაშაულობაში, კერძოდ, მკვლელობებში, ადამიანთა ჭამაში, სახელმწიფო სახსრების დატაცებაში. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება კონფისკაციისა იქნეს ჟ.-ბ. ბოკასის მთელი ქონება და მიიღო დადგენილება მისი დაპატიმრების შესახებ. ახლა ყოფილი „იმპერატორი“ სპეციალ ძვლის ნაპირის რესპუბლიკაში იმალება.**

მრავალი დღის სასამართლო გარჩევის პროცესში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგში მოისმინეს „იმპერატორის“ დაახლოებული პირების — 50-ზე მეტი მოწმის ჩვენებანი. გამოშკარავდა, რომ ყოფილ იმპერატორს 1966-1979 წლებში მეფობის დროს მრავალი დანაშაული ჩაუდენია. მათ შორის არის კაციჭამობის ფაქტები. მოწინააღმდეგეთა უკანონო დაპატიმრება და დაბრეკება ამაოუძიებლად და გაუსამართლებლად, მოსწავლეთა მხეცური რბევა-დაწოკება 1979 წლის აპრილში, მოწფიეებს, რომელთა შორის 8 წლის ბავშვებიც იყვნენ, საპყრობილეებში ამწყვდევდნენ, საშინლად აწამებდნენ, მერე კი ხვრეტდნენ.

14 წლის მანძილზე დიქტატორმა სახელმწიფო ფონდებიდან 30 მილიონ დოლარზე მეტი მითვისა. მარტო 1977 წელს იმპერატორად კურთხევის ზარზეიმულ ცერემონიას მან ხაზინიდან 22 მილიონი დოლარი მოახმარა. ბანგში არსებული უძრავი ქონების გარდა ბოკასს ჰქონდა ვილები და ციხე-კოშკები საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ჰყავდა 300 ლიმუზინი.

საფრანგეთის არმიის ყოფილი ოფიცერი ბოკასა, რომელიც ყოფილი მეტროპოლიის ნეოკოლონიალისტურმა წრეებმა გაახელსუფლეს, საჯარო განცხადებებში მუდამ აღნიშნავდა, რომ კავშირი ჰქონდა ოფიციალურ პარიზთან. ალმასები, ურანი და ქვეყნის სხვა ეროვნული სიმდიდრენი ბოკასმ საფრანგეთისა და ამერიკის მონოპოლიებს ჩაუგდო ხელში.

მკითი ზნე-ჩვეულება

თავდასხმა გამვლელთა თვალწინ

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის ცენტრში „ტაიმს-სკვერის“ მოედნის მიმდებარე ქუჩებში, ამ ბოლო დღეებში თარეშობს მკვლელი, რომელიც, როგორც პოლიცია ფიქრობს, დანაშაულს სჩადის „რასისტული მოტივებით“. მარტო რვა საათის განმავლობაში მრავალრიცხოვანი გამვლელის თვალწინ მან ხელის აუკანკალებლად ჩასცა დანა მკერდში ოთხ ზანგს და ერთ ლათინოამერიკელს, რომლებიც თავდასხმას არ მოელოდნენ. ამ თავდასხმის ოთხი მსხვერპლი იქვე გარდაიცვალა. მეზუთის გადასარჩენად ექიმები იბრძვიან. ეს სისხლიანი დანაშაული განსაკუთრებით ავისმომასწავებელია მომდინარე წლის სექტემბერში ქალაქ ბუფალოში (ნიუ-იორკის შტატი) მომხდარ ანალოგიურ მკვლელობათა ფონზე, როდესაც ზანგთა უბნებში აქამდე დაუდგენელი დანშაგავეების ხელით დაიღუპა ოთხი ადამიანი, მათ შორის 14 წლის მოზარდი.

ძნელი წარმოსადგენია, ასე თარეშობდნენ რასისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასეთი დანაშაულისათვის მათ რომ საკადრისად სჯიდნენ. რასისტული ტერორის მსხვერპლთა რიცხვი ქვეყანაში იზრდება, ოფიციალური ვაშინგტონი კი გულგრილი რჩება. რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფალთ, ისინი ხშირად აშკარად მფარველობენ თეთრკანიან შოვინისტებს და მათთან აშკარად თანამშრომლობენ კიდეც.

მერილინ მონროს მრავალსახეობა

ოცდაორი წლის ინგლისელი პეტრა ლინეი მოცეკავედ მუშაობდა და ხელმოკლედ ცხოვრობდა, სანამ ყურადღება არ მიაქცია, რომ იგი საოცრად ჰგავდა მერილინ მონროს. ასე დაიწყო მისი კარიერა შოუ-ბიზნესის სამყაროში. დაახლოებით ასეთივე ხვედრი ერგოთ ამერიკელ პაულ ლაინს, ავსტრალიელ ლინდა კოროიას, მარიონ გოფმანსა და სხვებს. მერილინ მონროს ორეულებზე მოთხოვნილება დიდია. მელბურნის ერთ-ერთ ლუდხანაში, მაგალითად, მნახველებს ართობს თორმეტი მოცეკვავე ქალიშვილი, რომლებიც სახელგანთქმულ სუპერვარსკვლავს ჰგვანან. როგორც ლუდხანის პატრონი ამბობს, „ლამის მერილინ მონროს“ საზოგადოებაში დროსტარება ანდამატივით იზიდავს კლიენტებს. ყოველივე ეს, ცხადია, ერთხელ კიდევ მოწმობს, რამდენად ხელსაყრელი ობიექტი იყო ნამდვილი მერილინ მონროს რეკლამისა და შოუ-ბიზნესისათვის.

შემოხვევა

ზვიგენების კონკურენტები

კანბერა. სატვირთო ავტომანქანის მძღოლი დასავლეთ ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროზე დიდი გზის გავლის შემდეგ საღამოობანს პლაჟთან შეჩერდა და ბანაობა გადაწყვიტა, მაგრამ ფეხის დასველება ვერ მოასწრო, რომ მას ნიანგი თავს დაესხა და ჭყლეტა ჩაითრია.

ეს შემთხვევა ამას წინათ ქალაქ უინდჰემის რაიონში მოხდა. მობანავეებს აქ საფრთხე ყოველთვის ზვიგენებისაგან ელოდათ, ახლა კი ისინი ნიანგებმა შეცვალეს, რომლებიც საგრძნობლად გამრავლდნენ ჩრდილოეთ სანაპიროს ტროპიკულ ზონაში მას შემდეგ, რაც 1971 წელს მათი დაცვა კანონით აიკრძალა.

ბრაზილიის ცის ქვეშ...

ჟურნალისტის უგის ფიგნაკიდან

ბრაზილია აღმოჩენის თარიღად 1500 წლის აპრილი ითვლება.

ბრაზილია წარმოდგება ხის სახელოწოდებიდან — კაუზბრაზილიდან, რომელიც ქვეყნის სანაპირო რაიონებში ხარობს და რომლისგანაც ღია წითელი საღებავი მზადდება.

ბრაზილია კონტრასტების ქვეყანაა: უზარმაზარი წიაღისეული სიმდიდრე და მოსახლეობის სიღატაკე, ფეშენებელური ცათამბჯენები და უბადრუკი ქოხმახები...

ბრაზილიელი დიდად აფასებს ხუმრობას. იუმორი მისთვის ისევე აუცილებელია, როგორც უთვალავი ფინჯანი ტკბილი ყავა, ურომლისოდაც სიცხე აუტანელი იქნებოდა. ისინი ასევე დიდად აფასებენ ღიმილს და გულუხვად უძღვნიან ერთმანეთს, თუ სტუმრებს. მართალი უთქვამთ, ბრაზილიელები ზშირად საოცრად ჰგვანან დიდ ბავშვებს, როდესაც გულკეთილად იღიმებიანო...

აქაურები ოფიციალურ „თქვენს“ უბრალო „შენ“-ს ამჯობინებენ. ამით უნდათ გულითადობა და სითბო გამოხატონ. საქმიან საუბარშიც კი, როცა თქვენობით ლაპარაკობენ, არასდროს არ მიმართავენ ერთმანეთს გვარით. ცნობილ სპორტსმენებს, მსახიობებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, თვით პრეზიდენტსაც კი, ჩვეულებრივ, სახელით, ზშირად მეტსახელითაც, იხსენიებენ, რაც დიდ პატივისცემად ითვლება...

ბრაზილიას „ყავის ქვეყანას“ უწოდებენ. აქ იმდენი ყავა მოჰყავთ, რამდენიც მთელ მსოფლიოში ერთად აღებული. ყავას მოგრთმევენ მიღებაზე, კაფეში, ბუფეტში, ხილის წვენით მოვაჭარე ჯიხურში, ნებისმიერ მაღაზიაში. როცა შინ ყავა შემოდის, სხვა სასმელები უკანა კარიდან გადისო, ხუმრობენ ბრაზილიელები. მაგრამ ვინ მოთვლის, გლეხის რამდენი ოფლი და ცრემლია ჩაღვრილი ამ სიმხნევის ელექსირში. ყავის პლანტაციებში შევხვდით ილაჯგაწყვეტილ მოჯამაგირეებს. მათ განსაზღვრული სამუშაო დღე არა აქვთ. ნაღვლიანად გავცქეროდით სახეგაცრეცილ, ზეზეურად ჩამომდნარ ბავშვებს, რომლებიც ვერასდროს ვერ წავლენ სკოლაში.

გიდი კი გატაცებით მოგვითხრობდა: ამაზონის ტყეებია კაუჩუკის ხის — გვეკის სამშობლო. იგი 20-30 მეტრი სიმაღლისა იზრდება, გამოყოფს წვენს, რომელისგანაც ელასტიკური მასალა — კაუჩუკი მზადდება. იგი ორი სიტყვისაგან წარმოდგება: კაუ — ხე და უჩუ — დინება. აქედან არის დღევანდელი სახელიც — „კაუჩუკი“. ეს ნედლეული პირველად მხოლოდ ბრაზილიას გაჰქონდა მსოფლიო ბაზარზე. გეკების თესლის გატანა ქვეყნიდან სასტიკად აკრძალული იყო. ფასი დღითი დღე მატულობდა და მისი მოპოვება გამდიდრების წყაროდ იქცა. კაუჩუკის აღმოჩენის ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას და მორიგი „ოქროს ციებ-ცხელება“ გამოიწვია.

ჩვენი საუკუნის დამდეგამდე ბრაზილია კაუჩუკის მთავარი ექსპორტიორი იყო, მაგრამ მონოპოლია მაინც დაკარგა. 1877 წელს ინგლისელმა ბრაზილიიდან ფარულად გაიტანეს გეკეის თესლი და ლონდონის ბოტანიკურ ბაღში ნერგები გამოიყვანეს, 1910 წელს კი ცეილონში გაიტანეს. შემდეგ იგი გავრცელდა ინდოსტანისა და საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის კოლონიებში.

ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება მინასყერაისის შტატს, რომელსაც, როგორც ამბობენ, რკინის მკერდი და ოქროს გული აქვს. მართლაც, აქაური მაღალხარისხოვანი რკინის მადანი საუკეთესოა მსოფლიოში. რაც შეეხება ოქროს გულს, იგი უკვე ამოცლილია. თუ ორი საუკუნის წინათ ტონობით ამოჰქონდათ ოქრო, ახლა ყოველწლიური მოპოვება მხოლოდ ასობით კილოგრამს შეადგენს.

პორტუგალიელთა ექსპედიცია ფლორენციელი ამერიგო ვესპუჩის ხელმძღვანელობით გუანაბარის ყურეში 1501 წლის 1 იანვარს შემოვიდა. მატერიკში ღრმად შეჭრილი ყურე ექსპედიციამ მდინარედ მიიჩნია და იანვრის მდინარე უწოდა. პორტუგალიურად მდინარეს რიო ჰქვია, იანვარს — ჟანეიროო. აქედან წარმოიშვა ქალაქის სახელწოდებაც, ნახევარი საუკუნის შემდეგ რომ დაარსდა.

რიო-დე-ჟანეიროს, ანუ როგორც მას ზშირად რიოს უწოდებენ, გარს აკრავს კორკოვადოს მთა. მისი მწვერვალიდან კარგად მოჩანს სახლების მასივები, მარადმწვანე ნარგაგებში ჩაფლული ბულვარები. სანაპიროს გასწვრივ აღმართულა სასტუმროები, ბანკები, სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები. მუშათა გარეუბნებში ეხვევიან ვიწრო, ოკრობოკრო ქუჩებს, ღარიბი მოსახლეობა დაბალ, ჭუჭყიან მიწურებშია შეხიზნული. მთის კალთებზე ახორხლილა ფანერის ქოხები, ზოგი თუნუქისაგან, ზოგიც ჰალმის ტოტებისაგან შეუკოწიწებიათ, ზოგიერთებს კი ფურგონები და ძველი მანქანის ძარები აქვთ ბინად.

მთის წვერზე აღმართულია ქრისტეს 38-მეტრიანი ფიგურა, რომელიც ქალაქის ყველა წერტილიდან მოჩანს. იგი რკინა-ბეტონისაგან არის გაკეთებული. ქრისტეს ხელები გაუშლია და ჯვრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ღამით მონუმენტი განათებულია და, როცა მას სანაპიროდან უყურებ, ფიგურის კონტურები იცრიცება და შვიდასმეტრიან სიმაღლეზე მხოლოდ განათებულ ჯვარს ხედავ.

აი, კოპაკაბანის ცნობილი ბუნებრივი პლაჟი. შესანიშნავი, თეთრი ქვიშით დაფარული სანაპირო ფართო ზოლად გადაჭიმული რამდენიმე კილომეტრზე. ბრაზილიელები ამაყობენ ამ პლაჟით და მას არა მარტო მსოფლიოში საუკეთესოდ, არამედ ყველაზე „დემოკრატიულადაც“ თვლიან. მართლაც, კაპიტალისტური სამყაროს საკურორტო ქალაქების პლაჟები ფასიანია. აქ კი, პლაჟი უფასოა და ყველას შეუძლია ისარგებლოს, ამ მხრივ იგი მართლაც ყველაზე დემოკრატიულია. ოღონდ სანაპიროს გასწვრივ აღმართული საუცხოო სასტუმროები, ცხადია, უბრალო ხალხისათვის არ არის განკუთვნილი. აქ არც გახდა შეიძლება და არც ჩვეულებრივი ტანსაცმლით მოსვლა. საამისო ჯიხურები პლაჟზე არ არის. მობანავენი შინდანვე საბანაო კოსტიუმებით მოდიან. კიდევ ერთი წესი: პლაჟზე მხოლოდ ქოლგების შემოტანა შეიძლება, მცხუნვარე მზე რომ მოიჩრდილოო. აქვე დახაზულია ფეხბურთის მოედნები, დილიდან საღამომდე არ წყდება აქ ქუჩის და დამსვენებელთა გუნდების პაექრობა...

ყველა ქვეყანას თავისებურება აქვს. მოსკოვში ჩასულ კაცს აუცილებლად შეეკითხებიან: წითელი მოედანი თუ ნახეო, თბილისში — მთაწმინდა, პარიზში— ეიფელის კოშკი, ესპანეთში — ხარების ბრძოლა და ა. შ. ბრაზილიაში ჩასულ უცხოელს კი აუცილებლად ჰკითხავენ: ნახეთ თუ არა „მარაკანის“ სტადიონი? და თუ უარყოფითი პასუხი მიიღეს, გაოცებით შემოგხედავენ.

სიმღერა და ფეხბურთი ბრაზილიელთა ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრია. ყოველი ფეხბურთის მატჩი ბრაზილიელისათვის სულიერი ზეიმია. აქ ასე ამბობენ: თუ სადმე უნდა აღმოცენებულიყო ფეხბურთი, ცხადია, ბრაზილიაში, მაგრამ დაადგენესო. მართალი ბრძანებაა: დაადგენენ, მაგრამ თითქმის ყველას აჯობეს. საკმარისია რამდენიმე დღე დაჰყო რიო-დე-ჟანეიროში, რომ მიხვდე, რას ნიშნავს სამხრეთამერიკული ფეხბურთი. იგი ერთდროულად ეროვნული სიამაყეც არის და სპორტის გულშემატკივართა მეგობრობისა და ჩხუბის მიზეზიც, პრესისა და პარლამენტის ცხარე კამათის საგანი.

ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნაყოფია მსოფლიოში უდიდესი რიო-დე-ჟანეიროს სტადიონი, რომლის დახურული ორიარუსიანი ტრიბუნები 200 ათას მაყურებელს იტევს. ადგილების დიდი ნაწილი ფეხზე დასადგომია და არ ინომრება. სტადიონი სპეციალურად მსოფლიო ჩემპიონატისათვის აშენდა, რომელიც 1950 წელს გაიმართა. აქ არ არის სარბენი ბილიკები. ფეხბურთის მოედანი მაყურებლისაგან გამოყოფილია ბეტონის მაღალი ბარიერით და ორ მეტრამდე სიღრმის თხრილით, რომელიც დიდი ფეხბურთის დროს წყლით ივსება, მხოლოდ ასე შეიძლება მოთამაშეებისა და მსაჯების „დაცვა“ ენებაშლილი მაყურებლისაგან.

ფეხბურთის დღეს ქალაქი მოფუსფუსე სკას ჰგავს. კარგად თქვა ერთმა მოხუცმა ბრაზილიელმა: ფეხბ

XXVI სკკპ ყრილობის პირველი

აღმშენებლობის პროგრამა

გამ[illegible]ბა • წინადადება • მოსაზრება

„ბანვითარებათ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“

თავიდათავი საკვებია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით განსაზღვრავს ქვეყნის აღმავლობის პროგრამას. მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას. ამ დარგის განვითარების თავიდათავი საკვებია. ამიტომაც გადაუდებელი ამოცანაა საკვებწარმოების ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და საკარმიდამო მეურნეობის პირუტყვის უუფასესი საკვებით უზრუნველყოფა.

ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობა წარმატებით მას შემდეგ ვითარდება, რაც საკვების პრობლემა ადგილზე გადაწყვიტეთ. რამდენიმე წელია უხეშ საკვებს ალარ ვყიდულობთ, წინათ კი ამისათვის დიდძალ სახსრებს ვხარჯავდით.

ისიც უნდა ითქვას, რომ წესრიგი მოლიანად არ არის დამყარებული კომბინირებული საკვებით მომარაგების საქმეში. ზოგჯერ ამგვარი საკვების მოტანა ფერხდება, რაც უარყოფითად მოქმედებს წველადობაზე. ასევე მოხავერებელია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოზამთრებისა და გასუქების პრობლემა, რომელსაც აგრეთვე ითვალისწინებს პროექტი. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მცირე წონის მოზარდეულის სასორცედ ჩაბარება, რასაც ჩვენს პირობებში ხშირად მიმართავენ. როცა გვეცოდინება, რომ ნორმირებულ წონას, მიუწვეველ პირუტყვს სახელმწიფო არ შეისყიდის, არც ჩავაბარებთ. ჩემი აზრით, პროექტში ესეც უნდა აისახოს.

საყრილობო შრომითს ვახტზე აქტიურობენ ჩვენი მეცხოველეები, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მთელი წლის განმავლობაში შეინარჩუნონ მაღალი წველადობა.

მ. აბუსელიძე,
შუახევის რაიონის სამოლიკოთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სოფლად კი. მაგრამ ქალაქად?

ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლებში დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები მიმდინარეობს. ბუნებრივია, იზრდება მოთხოვნილება ხაშენ მასალებზე. პროექტის ერთ-ერთ განყოფილებაში — „კაპიტალური მშენებლობა“ ჩაწერილია: სასოფლო რაიონებში უფრო სრულად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები. ეს უთუოდ დიდი საქმეა, ზოგიერთ რაიონში მართლაც არის საშენი მასალების საკმაო მარაგი.

მაგრამ ქალაქებმა რა დააშავეს? რაიონული დაქვემდებარების ქალაქებშიც ხომ შეიძლება ადგილობრივი მასალების გამოყენება. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს ადგილი პროექტში უმჯობესია ასეთი რედაქციით იყოს: „ხაჭალაქო და სასოფლო მშენებლობაში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები“.

ეს ხელს შეუწყობს მთელ რიგ მშენებლობათა დაჩქარებას, მოცდენების პროცენტის შემცირებას.

გ. გვასალია,
ინჟინერი, ცხაკაის სასაანო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩვენი აზრით

დავანესოთ კონგრესი

რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო მეტი კონტროლი დაწესდეს „საქცხოველმრეწვისადმი“, მის მიერ ჯიშიანი პირუტყვით საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმების უზრუნველყოფაზე. ზოგჯერ იგი საზოგადოებრივ მეურნეობებში მხოლოდ შემოყვანილი პირუტყვის რაოდენობით არის დაინტერესებული და არა მისი ჯიშობრივი თვისებებისა და ადგილებზე შეგუების უნარის შესწავლით. კარგი იქნება, ესეც რომ აისახოს პროექტში.

დ. დიაკონიძე,
ქ. წყალტუბოს ზონის საყულიის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მუშა.

სამეცნიერო კვლევის ავტომატიზაცია

„მეთერთმეტე ხუთწლედში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება კიდევ უფრო მეტად უნდა შეეწყობოდეს საგეგმო საზოგადოების შემდგომი პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას, ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანის დაჩქარებას“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ჯეროვანი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის მეშვეობით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ავტომატიზაციის გაფართოებას. მართვის სისტემების ინსტიტუტი 1975 წლიდან შეუდგა ამ მიმართულებით კვლევას, ხოლო ორი წლის შემდეგ მასში აქტიურად ჩაებნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და კიბერნეტიკის ინსტიტუტები და გამოთვლითი ცენტრი. დღეს ჩვენ გთავაზობთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. ხარაბიშვილის სტატიას.

არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი თაობის სტუდენტები პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად მიახლოებით გამოთვლებს მექანიკური არითმომეტრის მეშვეობით ახდენდნენ, ხოლო უფროსი კლასების მოსწავლენი ამავე მიზნით წარმატებით იყენებდნენ ლოგარითმებისა და ტრიგონომეტრიული ფუნქციების ცხრილებს. დღეს ყოველივე ეს არქაულად გამოიყურება, ვინაიდან ხელის გულზე მოთავსებულ პატარა კალკულატორს უნარი შესწევს განახორციელოს ყველა ასეთი და გაცილებით უფრო რთული მათემატიკური ოპერაცია. საოცარია ისიც, რომ ოციოდე წლის წინათ მრავალი გამოჩენილი კვლევარი, მათ შორის სახელგანთქმული მათემატიკოსებიც კი ოცნებობდნენ საკუთარ „ტეინმეტალზე“, რომელიც გარეგნულად სპეციალ მანქანას წააგავდა, ხოლო შინაარსით არითმომეტრის ერთგვარი მოდიფიკაცია იყო. ახლა, ვისაც კი სურვილი აქვს, შეუძლია ხელმისაწვდომ ფასად შეიძინოს და ჯიბით ატაროს „ელექტრონიკა“, რომელსაც შეუდარებლად მეტი შესაძლებლობანი აქვს. უკვე ზემოთქმული ემბრიონული სახით გვაძლევს სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო მონაცემთა ავტომატური დამუშავების შესაძლებლობათა გაფართოების მინიატურულ სურათს, ისეთი „ელექტრონული მონსტრების“ ასპარეზზე გამოჩენამ, როგორიც თანამედროვე გამოთვლითი მანქანებია, ამ სურათის ფარგლები მთელი სიგრძე-სიგანით გაშალა და თვალწინ წარმოგვიდგინა ის დიადი პერსპექტივა, რომელსაც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ავტომატიზაცია ჰქვია. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ იგი, საკმაოდ ადრე, ტერიტორიულად განაწილებული, კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი სისტემების შექმნისა და განვითარების მოკლე ისტორიას. 60-70-იან წლებში ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანათა ერთობლიობას გამოეყო ელიტა გამოთვლითი სისტემების სახით. პირველი მათგანი შეიქმნა შეერთებულ შტატებში და მალე მიიპყრო საკაციალისტთა ყურადღება.

დიდი, ტერიტორიულად განაწილებული, კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი სისტემისათვის დამახასიათებელია კომპლექსური გამოყენება გამოთვლითი სიმძლავრეებისა და კავშირის არხებისა, რომელთა მეშვეობით მრავალი (სხვადასხვა ადგილზე მყოფი) მომხმარებელი ტერმინალის დახმარებით უკავშირდება სისტემაში შემავალ ელექტრონულ-გამოთვლით მანქანას (რომელიც ზოგ შემთხვევაში ათასობით კილომეტრით არის მისგან დაშორებული) და ასრულებს მისთვის სასურველ მოქმედებებს. გამოთვლით სისტემას, საკუთრივ გამოთვლით მანქანასთან შედარებით, ბევრი უპირატესობა აქვს. მათ შორის გავიხსენოთ, ძირითადი გამოთვლითი საშუალებებით დისტანციური სარგებლობის შესაძლებლობა. გამოთვლითი რესურსების მრავალ მომხმარებელთა შორის ოპტიმალური განაწილება; მომხმარებლის განთავისუფლება აუცილებლობისაგან იქონიოს საკუთარი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა; ფორმალური ენათა და პროგრამათა სიმრავლის მიღწევადობა; არსებული გამოთვლითი სიმძლავრეების ინტეგრირების უნარი და უთანაერთ დაშორებულ მომხმარებელთა მიერ კომპლექსური ექსპერიმენტის შესაძლებლობა.

გამოთვლითი სისტემის რესურსები შედგება ურთიერთდაკავშირებული ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისაგან ან მსხვილი გამოთვლითი ცენტრებისაგან, რომელთაც შეუძლიათ როგორც სისტემის მუშაობაში მონაწილეობა, ისე ლოკალურ რეჟიმში მუშაობა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზოგიერთი გამოთვლითი სისტემის ცნება მოიცავს არა მხოლოდ აპარატულად დაკავშირებულ გამოთვლით მანქანათა ერთობლიობას, არამედ პროგრამულ საშუალებებსაც, რომელნიც ახორციელებენ მთელი სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

1975 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევის ავტომატიზაციის საბჭოს წინადადებით, რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, მართვის სისტემების ინსტიტუტის კოლექტივი შეუდგა კვლევას, რომელიც მიზნად ისახავდა მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისათვის კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი სისტემის დამუშავებასა და შექმნას, სისტემა განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო მონაცემთა ავტომატური დამუშავებისათვის, რასაც თავის მხრივ უნდა მოჰყოლოდა სამუშაოთა ხანგრძლივობის შემცირება და უახლესი გამოთვლითი ტექნიკის რაციონალური გამოყენება.

ერთი წლის შემდეგ მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეისწავლეს კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრის შექმნას. ზემოთ დასახელებული ინსტიტუტების ბაზაზე. ყოველ მათგანს ექნება იმუშაოს დისტანციურად შენობაში გაწყლაგებულ მომხმარებლებთან და განახორციელოს ადგილობრივი მუშაობის რეჟიმი გეოგრაფიულად დაშორებულ მომხმარებლებთან.

მეორე ეტაპი გულისხმობს კოლექტიური სარგებლობის იზოლირებული გამოთვლითი ცენტრების შესაძლებლობათა გაფართოებას. კერძოდ, სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო მონაცემების ტელედამუშავებას. მესამე (დამამთავრებელ) ეტაპზე მოხდება კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრების მმართველი სისტემების წრიული გაერთიანება ერთიან გამოთვლით სისტემაში, რაც უზრუნველყოფს გამოთვლითი სისტემის სიმძლავრის ოპტიმალურ გამოყენებას და შესაძლებელს გახდის ამოიხსნას მისი მეშვეობით ურთულესი ამოცანები.

ამჟამად დასასრულს უახლოვდება პირველი ეტაპის სამუშაოები. სულ მალე საუწყებო მიმღები კომისია შეუდგება მუშაობას. პერსპექტივაში დაგეგმილია მეორე და მესამე ეტაპის სამუშაოთა განხორციელება. მათი წარმატებით დამთავრება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უტყუარი საწინდარია.

ეთერზეთები რენტაბელობის წყარო უნდა იყოს

„გავადიდოთ ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობა, გავაუმჯობესოთ ამ კულტურების ხარისხი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ საყრილობო პროექტში, რომელშიც განსაზღვრულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები, მიზუთი თავი დათმობილი აქვს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებას, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ნათქვამია: „... გავადიდოთ ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობა, გავაუმჯობესოთ ამ კულტურების თესვის ხარისხი“.

მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში სულ უნდა დამზადებულიყო 137 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული. ეს დავალება საერთოდ უთუოდ შესრულდება, მაგრამ, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში არ სრულდება ასორტიმენტის მიხედვით ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადებისა და ნომენკლატურის მიხედვით ზეთების გამოშვების გეგმები, რაც ობიექტურ მიზეზებთან ერთად ამ დარგისადმი ყურადღების შესუსტების შედეგიც არის.

ჩვენს რესპუბლიკაში ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების გადიდებისათვის განკუთვნილი სახსრები ძირითადად მოხმარდება სპეციალიზირებულ მეურნეობებში სასათბურე მეურნეობის მშენებლობის, ურწყავი და ჭარბტენიანი მიწების სამელიორაციო სამუშაოების და ამ დარგის სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოების ღონისძიებებს.

ამასთან ბევრი რაიონის ნიადაგური და კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მოიყვანონ ნემსიწვერა, რეპანი და სხვა ტროპიკული და სუბტროპიკული წარმოშობის ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურები. ეთერზეთების გადასამუშავებელი ქარხნების აღჭურვილობა და, საერთოდ, მატერიალური ტექნიკური ბაზა ძალზე ჩამორჩება ნედლეულის რესურსების მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობას. ზოგიერთი სახეობის ნედლეულიდან (იელი, თამბაქოს ნარჩენები და სხვა) ზეთი რომ მივიღოთ, საჭიროა ექსტრაქციის მეთოდით ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება. მაგრამ თვით ექსტრაქტები და საექსტრაქციო საამქროები არ გააჩნიათ, და ზეთის დამზადება ძალზე მოძველებული წესით ხდება. ამიტომ ძვირი ჯდება პროდუქცია და ძნელდება ნედლეულის გადამუშავების პროცესები. თუმცა წინათაც ყოფილა ლაბარაკი საექსტრაქციო საამქროების მოწყობაზე. მაგრამ, არსებითად, არაფერი გაკეთებულა. ახლა გადაწყვეტილ პრაქტიკულად მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს და სხვა რესპუბლიკების გამოცდილების გამოყენებით, ჩვენი საკუთარი ძალებით, არასტანდარტული დანადგარ-მოწყობილობებით ავაგოთ საექსტრაქციო საამქროები. მარნეულისა და ბაბუშერის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნებთან საამისოდ უკვე მომზადებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაცია და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ასეთი საამქროები მოვაწყოთ მომავალი წლისთვის.

შემდგომისათვის კი უნდა ვიზრუნოთ, რომ გადასამუშავებელ ქარხნებში მოძველებული და წყობილებიდან გამოსული ტექნოლოგიური დანადგარები თანდათანობით შეცვალოთ თანამედროვე ახალი მოწყობილობით.

გადაუდებელი საზრუნავი გვაქვს მეურნეობაში ჭარბტენიანი მიწების დაშრობისა და კულტივაციური სამუშაოების დროული შესრულებისათვის. საერთოდ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ვრცლად იყო ლაპარაკი ამ საკითხებზე და რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებს დაეკალა წამოაყენონ დასაბუთებული წინადადებები.

ასეთი წინადადებები უკვე მომზადებულია. მაგრამ იგი ძირითადად შეეხება 1981-1985 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს. ამასთან არის საკითხები, რომლებიც ახლავე უნდა გადაწყდეს, რათა ამთავითვე შეიქმნას პირობები მომავალ წელს ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩვენი აზრით, საჭიროა (გადიდების მიზნით) გადაისინჯოს ამჟამად არსებული ნემსიწვერას, რეპანისა და ვარდის ნედლეულის შესასყიდი ფასი, უნდა მოწესრიგდეს ამ კულტურების მოვლა-მოყვანაზე დასაქმებული მუშახელისა და სპეციალისტების შრომის დამატებითი ანაზღაურების საქმე, ამ დარგშიც ფართოდ და გაბედულად უნდა დაინერგოს როგორც საერთოდ ქვეყანაში, ასევე ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები.

შესაბამისმა ორგანიზაციებმა ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ მეურნეობებს საამაო რაოდენობით უნდა გამოუყონ მათთვის საჭირო მინერალური სასუქები, ზსამქმიოკატები, ჰერბიციდები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ჩვენი აზრით, საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, ისე როგორც სხვა დარგების მიმართ, ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების გეგმების შესრულებისადმიც გააძლიერონ მომთხოვნელობა და კონტროლი, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ ამა თუ იმ დარგისადმი ყურადღებისა და კონტროლის შესუსტება ძალზე უარყოფითად მოქმედებს მოცემული დარგის განვითარებაზე. ხომ ამკარად ვხედავთ, რომ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში ძალზე ნელა შეესაბამება დაფნის ფოთლის საგემოვნო თვისებებს და სხვა, ძნელდება მისი გასაღება და ფინანსური სიძნელეები ექმნებათ მეურნეობა-ქარხნებს, რომლებიც ამგვარ ნედლეულს ამუშავებენ.

წლევანდელი გაზაფხულის არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, ეთერზეთოვანი კულტურების მწარმოებელ მეურნეობებში ორგანიზებულად მოეწყო ნემსიწვერას, რეპანის და სხვა ბალახოვანი ეთერზეთოვანი კულტურების დარგვა და თესვა, აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა ყოველგვარი სამუშაოები და მოსავალსაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ჯერ ხანგრძლივმა გვალვებმა შეაფერხა ზრდა-განვითარება, მერე კი, იმ დროს, როცა მეურნეობები მოსავლის აღებას უნდა შესდგომოდნენ, ხანგრძლივი წვიმების, წყალდიდობისა და სეტყვისაგან მთლიანად დაიღუპა ან ნაწილობრივ დაზიანდა ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციების დიდი ნაწილი (ბაბუშერის, ტამბის, გალის, ხორნის, კოლხიდის და სხვა ეთერზეთების მწარმოებელი მეურნეობები) და მარტო ამ მიზეზით დაიკარგა 5000 ტონაზე მეტი ნედლეული. ამასთან ცალკეულ რაიონებსა და მეურნეობებში უდიერად მოეკიდნენ ამ საქმეს და დიდძალი ნედლეული დაიკლეს სახელმწიფოს. ყოველივე ამის გამო საფრთხე შეექმნა ნედლეულის დამზადების გეგმის შესრულებას.

როგორც ვთქვით, მეათე ხუთწლედში სულ 137 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული უნდა დამზადდეს, მაგრამ ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის გარღვევის დასაფარავად ზემდგომი ორგანოების დავალებით უნდა დამზადდეს 11 ათასი ტონა დაფნისა და 1500 ტონა ევკალიპტის მწვანე მასა. ამ დავალების შესასრულებლად რესპუბლიკაში საკმაოდ არის რესურსები, მაგრამ შესაბამისი რეგიონების ხელმძღვანელობის მხრივ საჭირო ზომების მიუღებლობის გამო დამზადება ძალზე ჯადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ახლა ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნებში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გაისად უკეთეს შედეგებს მიაღწიონ.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლისათვის უკვე დაეკალმეს 32 მილიონზე მეტი ნემსიწვერას კალამი და ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი, რათა შექმნან პირობები მაღალხარისხოვანი სარგავი მასალის მისაღებად, შესაძლებელი გახდეს 1981 წლის გაზაფხულზე ნემსიწვერა დარგან 850-900 ჰექტარზე, ნაცვლად წლევანდელი 700 ჰექტარისა. გარდა ამისა, მეურნეობებში სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც ხორციელდება, რათა საერთოდ მტკიცე საფუძველი შემზადდეს მეთერთმეტე ხუთწლედისათვის.

ი. ეცადაშვილი,
საქართველოს აგრარულ სამრეწველო გაერთიანების „საქეთერზეთმრეწვის“ უფროსი.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის წარმოების მოცულობა 1,4-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის

ჩემი აზრით, ლოგიკურად გამართლებული იქნება, თუ პროექტის მერვე განყოფილებაში, რომელიც სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამას ეხება, იმ ადგილს, სადაც, უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებაზეა ლაპარაკი, დაემატება:

„კვლავაც შევუწყოთ ხელი ნებაყოფლობითს პრინციპზე დაფუძნებული სტუდენტთა შრომითი რაზმების მრავალმხრივ სასარგებლო პატრიოტულ საქმიანობას, რომლის მიზანია სამშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემდგომი გამრავლება.

ამ საკითხის დაყენების უფლებას გვაძლევს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ სტუდენტთა რაზმების საქმიანობის მაღალი შეფასება.

სკკპ XXV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „ეს რაზმები... უზარმაზარ საქმეს აკეთებენ მეცხრე ხუთწლედში. მათ შეასრულეს დაახლოებით 5 მილიარდი მანეთის „სამუშაო“. ხოლო 1979 წლის აპრილში სტუდენტთა რაზმების ალმა-ათის საკავშირო შეკრების მონაწილეთა მისამართით გაგზავნილ მისალმებაში ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა სტუდენტურ შრომითს სემესტრს იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი წრთობის შესანიშნავი სკოლა უწოდა.

უახლოეს წლებში სტუდენტთა შრომითის რაზმებს კიდევ უფრო დიდი სამოქმედო ასპარეზი გადაეშლებათ და მათი საქმიანობის აღნიშვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, რომელიც ყრილობის შემდეგ ჩვენს სამოქმედო პროგრამად იქცევა, კიდევ უფრო აამაღლებს სტუდენტი ახალგაზრდობის პასუხისმგებლობასა და აქტიურობას ქვეყნის მატერიალური და სულიერი დოვლათის გამრავლებისათვის, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

გ. გურეშიძე,
ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი, სტუდენტური შრომითი რაზმის „კოლხეთი-80“-ის მეთაური.

ადგილობრივი მრეწველობის მომავალი

დიდი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივმა მრეწველობამ. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტის მიხედვით ამ დარგის წარმოების მოცულობა 1,4-ჯერ უნდა გაიზარდოს. ეს კი, ძირითადად, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების გზით მოხდება. გათვალისწინებულია სამინისტროს სისტემაში შემავალ მეტ წილ საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, რისთვისაც მეათე ხუთწლედთან შედარებით 1,5-ჯერ მეტ სახსრებს გაიღებენ.

ახალი, პროგრესული ტექნიკისა და მუშაობის მეთოდების დანერგვა საშუალებას მისცემს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს უპირატესი ტემპით გაზარდონ მარმარილოს, გრანიტის, მოსაპირკეთებელი ფილების, მინერალური წყლების, ხალებავების, პლასტმასის ნაწარმის, ბროლის ჭურჭლის, სათამაშოებისა და სხვა ასობით დასახელების კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების გამოშვება.

სამინისტრომ საკმაოდ მძლავრი ბაზა შექმნა. მეათე ხუთწლედის დავალება მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის შესრულდა. წარმოების მოცულობა 58 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 40 პროცენტით გადიდდა. ორივე მაჩვენებელი მნიშვნელოვნად სჭარბობს ნავარაუდევს.

მომავალში დარგის საწარმოებში მთავარი ყურადღება დაეთმობა ასორტიმენტის განახლებას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, სახელშეკრულებო ვალდებულებების დროულ შესრულებას, საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურ გამოყენებას, ფონდუკუგების გადიდებას.

სამინისტროს ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში იქნება მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, მატერიალური და მორალური წახალისების მეთოდების სრულყოფა. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ადგილობრივი მრეწველობა რესპუბლიკის ინდუსტრიის მძლავრი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. მის საწარმოებში დამზადებულმა პროდუქციამ მაქსიმალურად უნდა დააკმაყოფილოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ზესტაფონი

მსოფლიო ბაზარზე

რესპუბლიკის საექსპორტო პროდუქციაში დიდი ხვედრითი წილი მოდის ზესტაფონელ მშრომელთა ნახელავზე. საზღვარგარეთის 30-ზე მეტ ქვეყანაში გადის აქაური ნაწარმი. საპატიო ხუთკუთხედით ახლა 30 დასახელების პროდუქცია გამოდის.

ხარისხისათვის ბრძოლა ახლა ყველაზე კარგადაა დაყენებული ფეროშენადნობთა ქარხანაში. აქაური წარმოების შვიდი მარკის ლითონი მსოფლიო სტანდარტების დონეზეა და მთლიანი პროდუქციის 46,6 პროცენტს შეადგენს. ამ მონაცემებით აქაურ მეტალურგებს პირველი ადგილი უკავიათ ჩვენ ქვეყანაში.

სატელეფონო სადგური

ახლახან მწყობრში ჩადგა 5.000-ნომრიანი სატელეფონო სადგური, ტელეფონები რიგგარეშე დაედგათ სამამულო ომის ვეტერანებს და შრომის ინვალიდებს.

ახალი წლიდან ზესტაფონელებს საშუალება ექნებათ თავიანთი ბინებიდან პირდაპირ დაუკავშირდნენ ახლობლებს თბილისში, ქუთაისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, რითაც განიტვირთება საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

დიდი ღვაწლი დადო ამ საშვილიშვილო საქმეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. ჯოშვილმა. მან გარშემო შემოიკრიბა ენთუზიასტები, მოსწავლეები და ათეულობით წლების განმავლობაში შეაგროვა ეთნოგრაფიული კუთხისათვის დამახასიათებელი ათასობით უნიკალური ექსპონატი, რომელთა შორის ბევრს ძალზე დიდი ისტორიული ღირებულება აქვს.

ენთუზიასტის შრომა დაფასდა. აქაური მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მნახველთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

მწყობრშია ახალი კომპლექსები

როდინოულის მეცხოველეობის კომპლექსი ხორცისა და რძის დიდი ფაბრიკა იქნება რაიონში. 800 ფურისათვის გათვალისწინებული ახალი საწარმო მალე მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს და წლიურად 2.800 ტონა რძეს, 121 ტონა ხორცს მისცემს ქვეყანას.

ახლახან ბოცვრების პირველი პარტია დაებინავეს 5.000 დედა კურდღლისათვის გათვალისწინებულ სამეურნეო-ბათმორისო კომპლექსში, საიდანაც ყოველწლიურად 100 ტონა დიეტურ ხორცს მიიღებს მომხმარებელი.

ორჯერ და მეტად გაიზრდება სამეურნეობათშორისო, მეფრინველეობის ფაბრიკის წარმადობა, რითაც ახლანდელი 70 ტონის ნაცვლად 130 ტონამდე გადიდდება ქათმის ხორცის წარმოება.

ახალმოსახლეობა

ახალი წლის წინა დღეებში დიდი ახალმოსახლეობა ჰქონდათ აქაურ მეტალურგებს. ახალი 36-ბინიანი სახლის ჭერი და ფანჯრები სინთეზემ გააჩახჩახა. ლითონის მდნობელებმა ა. გოდიბაძემ, ვ. ვერბი